82
ს-97

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირაკლი რევაზის ძე ცხვედიანი

ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ მითოსური ასპექტი

10. 01. 05 _ ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2002

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირაკლი რევაზის ძე ცხვედიანი

ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ მითოსური ასპექტი

10. 01. 05 _ ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

-1853-

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

თბილისი
2002

დისერტაცია შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მანანა გელაშვილი

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ კობახიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ირაკლი კენჭოშვილი

დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის 31 მაისს 14. საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს (P. 10. 05. №4) სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 36.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წლის 30 აპრილს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი (რ. ციხითათრიშვილი)

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ირლანდიელი მწერლის ჯეიმზ ჯოისის რომანი „ულისე“ სამართლიანადაა მიჩნეული უაღრესად მნიშვნელოვან და რთულ ქმნილებად XX საუკუნის დასავლეთ ევროპული ლიტერატურის ისტორიაში. „მრავალგანზომილებიანი პალიმფსესტი“, „ეპიკური კრიპტოგრამა“, „ულრანი ტყე“, „გზაგაუკვლევი ლაბირინთი“ _ ეს ზღვაში წვეთია იმ მეტაფორათა შორის, რომლებსაც მკვლევარები მიმართავენ, რათა ხაზი გაუსვან ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ სირთულესა და მრავალპლანიანობას. რომანის ამგვარ სირთულეს განაპირობებს, უწინარეს ყოვლისა, ჯოისის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებანი _ რთული ასოციაციური ხატოვანება, პერსონაჟთა „ცნობიერების ნაკადის“ ირაციონალური, ქაოტური დინება, ემპირიულ დონეზე ერთმანეთთან დაუკავშირებელი, ერთი შეხედვით მხატვრულად არამოტივირებული დეტალების ნატურალისტური სკრუპულოზურობით აღწერა.

სწორედ არაჰომოგენური ასოციაციებისა და დეტალების კომბინირების ტენდენციამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მითოსის ცნობიერი გამოყენების აუცილებლობა რომანში, ვინაიდან მითოსის საჭიროება, როგორც წესი, წარმოიქმნება მაშინ, როცა მწერალი ცდილობს მოახდინოს უკიდურესად არაერთგვაროვანი მასალის პაროდიული სინთეზი ერთი მხატვრული მთელის ფარგლებში. ამდენად, „ულისეს“ სტრუქტურული სიმწყობრის აღქმა მხოლოდ მისი მითოსური ასპექტის გათვალისწინებითაა შესა)ლებელი.

ჯეიმზ ჯოისის „მითოსური მეთოდის“ შესახებ შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ მკვლევართა უმრავლესობას ვიწროდ ესმის „ულისეს“ მითოსური ასპექტის მნიშვნელობა. მათი დიდი ნაწილი რომანის მითოსური წყაროების კვლევისას მხოლოდ ოდისევსის მითის ჰომეროსული მოდელის ფუნქციების ანალიზით იფარგლება. ყურადღების მიღმა რჩება „ულისეს“ მითოლოგიური ასპექტის შემადგენელი